ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის დეკემბრამდე პერიოდს)

მოგესალმებით კოლეგებო!

წარმოგიდგენთ, ჩემი და საკრებულოს მიერ გაწეულ საქმიანობის ანგარიშს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 18,200 ადამიანს. მთლიანი ტერიტორიის 180 კვადრატული კილომეტრი უჭირავს დაბლობს, ხოლო 739.9 კვ.კმ მთაგორიანს.

მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის 79 სოფელი. აქედან---- გოლისი, ზვარე, ჩრდილი, წიფა, ნუნისი, გოლათუბანი, გუდათუბანი, გედსამანია, ფონა და პატარა სახვლარი მაღალმთიანი სტატუსის მატარებელი სოფლები არიან.

ადგილობრივი თვითმმართველობითი, საკანონმდებლო ორგანოა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელიც შედგება 33 წევრისაგან. მათგან 22 არჩეულია პროპორციული, ხოლო 11 მაჟორიტარული სისტემით.

საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს, საკრებულოს მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს სამი მოადგილე.



მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით კიკნაძე

თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ამირან ოქრომჭედლიძე

თავმჯდომარის მოადგილე

პაატა გოგოლაძე

თავმჯდომარის მოადგილე

საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია:

1. ეკონომიკის, ქონები მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია.

2. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია.

3. განათლების კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

4. იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.

5. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

ბესიკ	შმაგი	მარინე	ოთარ	პავლე
კვირიკაშილი	ხიჯაკაძე	ხვედელიძე	ლურსმანაშვილი	კიკალიშვილი

როგორც მოგეხსენებათ საკრებულო წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის ძირითად პოლიტიკური ორგანოს და აქედან გამომდინარე, კანონი უშვებს საკრებულოს ფრაქციის შექმნის შესაძლებლობას, ფრაქციის შექმნის საფუძველს წარმოადგენს საკრებულოს წევრთა საერთო პოლიტიკური შეხედულებანი. დღეის მდგომარეობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოქმედებს 3 ფრაქცია:

1. ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
2. ფრაქცი ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
3. ფრაქცია ,,ხარაგაულისთვის“

შალვა	თორნიკე	ირმა
ლურსმანაშვილი	ავალიშვილი	ვეფხვაძე

საკრებულოში ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30[2]-მუხლის მოთხოვნის თანახმად, შეიქმნა საკრებულოს უმრავლესობა, რომელშიც გაერთიანდა მმართველი პარტიის - ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრები. ხოლო საკრებულოს დანარჩენი წევრები, რომლებიც არ შედის საკრებულოს უმრავლესობაში განეკუთვნებიან საკრებულოს ოპოზიციას.

მოგეხსენებათ, საკრებულოს აპარატი არის საკრებულოს სტრუქტურული ერთეული, რომლის უფლებამოსილებას შეადგენს საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფა. აპარატი შედგება 6 შტატით და 6 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებისაგან, აპარატი ორგანიზებას უკეთებს საკრებულოს კომისიების, საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების ურთიერთობას ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან.

საანგარიშო პერიოდში აპარატის მიერ ორგანიზება გაუკეთდა 11 მორიგ და 11 რიგგარეშე სხდომის მოწვევას.

ბიუროს სხდომა **საკრებულოს სხდომა**

მომზადდა საკრებულოს 84 ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და საკრებულოს თავმჯდომარის 183 ბრძანების პროექტი. საანგარიშო პერიოდში იურიდიული ექსპერტიზა ჩაუტარდა და მომზადდა სამართლებრივი დასკვნები საკრებულოს 296 სამართლებრივ აქტზე. აქ იგულისხმება საკრებულოს დადგენილებები, განკარგულებები და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებები, კანონით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. საკრებულოში შემოსულია და პასუხ გაცემულია 285 კორესპოდენცია, ხოლო საკრებულოდან სხვადასხვა უწყებებში გაგზავნილია 272 წერილი.

საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები რეგისტრაციას გადის და იურიდიულ ძალას იძენს, სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნების შემდეგ, ხოლო სამართლებრივ ექსპერტიზას გადის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტში და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მათგან ვიღებთ შესაბამის რეკომენდაციებს. 2023 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის მიერ, სამართლებრივი ზედამხედველობის განხორციელების შედეგად, ხარვეზები გამოვლენილ იქნა საკრებულოს მიერ მიღებულ 24 ნორმატიული აქტიდან მხოლოდ 2 ნორმატიულ აქტზე. კერძოდ: ხარვეზები შეეხებოდა მერიის სამსახურების, მე-3 რანგის პირველი და მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტების, მე-4 რანგის მე-2 და მე-3 კატეგორიის უმცროსი სპეციალისტებისა და საკრებულოს აპარატის მე-3 რანგის, მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის საკითხსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის, ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრას, ოქმის ფორმის გამოყენებასთან დაკავშირებულ დებულებებს და ადმინისტრაციულ სამართალდაღვევის საქმის წარმოებისას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ნორმათა რედაქტირების საკითხებს. აღნიშნული ხარვეზები საკრებულოს მიერ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გამოსწორებულ და მოყვანლ იქნა კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

გასულ წელს შეიცვალა საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი. აღნიშნული წესის თანახმად, დადგინდა 4 ძირითადი მოთხოვნა, რომელთა შესრულების შემთხვევაში საკრებულოს წევრს, (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები აუნაზღაურდება სრულიად, ხოლო თითოეული მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის ხარჯების ანაზღაურების მიზნით, გათვალისწინებული თანხის ოდენობა შეუმცირდება 5%-ით. თუ საკრებულოს წევრი დადგენილი მოთხოვნებიდან არ შეასრულებს არცერთ მოთხოვნას, ხარჯების ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული თანხა არ მიეცემა. მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2022 წლის 21 დეკემბრის დადგენილებით, შეიმუშავა ხარჯის ზღვრული ოდენობა და გაცემის წესი. ხარჯების ანაზღაურების მიზნით, საკრებულოს წევრების საქმიანობის აღრიცხვის წარმოებას ახორციელებს საკრებულოს აპარატი, რომელიც პასუხისმგებლობით ასრულებს მასზედ დაკისრებულ მოვალეობას.

საკრებულოს ემსახურება ორი ავტომანქანა, რომლებზედაც ყოველთვიურად გამოყოფილი საწვავიდან 500 ლიტრი გათვალისწინებულია ჩემს სარგებლობაში

არსებული ავტომანქანისთვის, 300 ლიტრი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისთვის, ხოლო 300 ლიტრი კომისიების ეფექტურად მუშაობისათვის. ამასთანავე, მინდა ავღნიშნო, რომ ჩემ სარგებლობაში არსებული ავტომანქანისათვის დაწესებული საწვავი შვებულების პერიოდში არ გამომიყენებია, რის შედეგადაც გაკეთდა 488 ლიტრი საწვავის ეკონომია. მიმდინარე წელს წარმომადგენლობითი ხარჯი, საკრებულოს თავმჯომარისთვის განისაზღვრა 5000 ლარით. გასულ წლებში წარმომადგენლობით ხარჯებიდან არცერთი ლარი არ დახარჯულა და დაზოგილი თანხა განაწილებული იქნა ბიუჯეტით გათვალისწინებულ სხვადასხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე. ხოლო 2023 წელს ჩემი რეკომენდაციით, ზემოთ აღნიშნული თანხიდან 2200 ლარი დაიხარჯა გამოჩენილი ოპერის მომღერლის, შოთა კიკნაძის ასი წლის იუბილის ღონისძიების ჩატარებისათვის.

2022 წელს საკრებულოს სამივლინებო ხარჯი შეადგენდა 120 ლარს, აქედან საკრებულოს თავმჯდომარის მიერ არცერთი ლარი არ იქნა გახარჯული. ხოლო 2023 წელს სამივლინებო ხარჯი შეადგენს 1188 ლარს, აქედან საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გახარჯულია 90 ლარი.

ვცდილობ უფრო ეფექტური გავხადოთ საკრებულოს საქმიანობა, რათა კონტროლის ის მექანიზმები, რაც საკრებულოს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ აქვს მონიჭებული მაქსიმალურად იყოს გამოყენებული. სწორედ ამ მიზნით, გასულ წელს, საკრებულოს მიერ, საკრებულოს რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, გათვალისწინებულ იქნა მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა ყოველწლიური ანგარიშის მოსმენის წესი, რომლის საფუძველზე ჩემი ბრძანებით, საკრებულოს სამუშაო გეგმაში შევიტანეთ მუნიციპალიტეტში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხელმძღვანელთა ანგარიშების მოსმენა, გაწეული საქმიანობის შესახებ და მათი შეფასება. ვფქრობთ, ამ გადაწყვეტილებამ დადებითი შედეგი გამოიღო.

პრაქტიკაში დაინერგა სახელმწიფო აუდიტის მიერ, მუნიციპალიტეტის საკრებულოში გადმოგზავნილი ანგარიშების განხილვა, რომლებიც შეეხებოდა მუნიციპალიტეტის მიერ სხვადასხვა სფეროების მიხედვით დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის შემოწმების შედეგად აღმოჩენილ დარღვევებს.

სახელმწიფო აუდიტის ანგარიშები, გაცნობის მიზნით, ეგზავნებათ საკრებულოს წევრებს და კომისიის თავმჯდომარეებს, საკითხი განსახილველად გატანილ იქნა საკრებულოს სხდომაზე და მიღებულ იქნა შესაბამისი განკარგულება, სადაც სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების თანახმად, კომისიებს სფეროების მიხედვით დაევალათ მონიტორინგი მიღებული განკარგულების

შესრულებაზე, ხოლო მუნიციპალიტეტის მერიას, მსგავსი შემთხვევევის თავიდან აცილების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

კერძოდ, გასულ წელს საკრებულოში განხილულ იქნა ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშები. ანგარიშებში ასახული ნაკლოვანებების სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად შესწავლისა და გაანალიზების მიზნით, საკრებულოს სხდომაზე მოწვეულნი იყვნენ შ.პ.ს. ,,საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი"-ს მენეჯერი და რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი პირები, რა დროსაც აუდიტის ანგარიშში მითითებული ნაკლოვანებების შესაბამისად, კითხვა-პასუხის რეჟიმში მოსმენილ იქნა მათი პასუხები ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის თაობაზე და სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციების გათვალისწინებით მიღებულ იქნა შესაბამისი განკარგულებები, რომლითაც საკრებულოს კომისიებს დარგების მიხედვით დაევალა მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და ინფრომაციის წარმოდგენა საკრებულოს სხდომაზე, ხოლო მუნიციპალიტეტის მერიას მიეცა დავალება, სახლემწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, ანგარიშებში გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად მოეხდინა ანგარიშში მითითებული სამსახურების საქმიანობაზე კონტროლი და გატარებული ღონისძიებების შესახებ ეცნობებინა მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის. ასევე 2023 წლის ივნისის თვეში, საკრებულოში გადმოგზავნილი იქნა სახელმწიფო აუდიტის მიერ 2023 წელს დამტკიცებული 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში, რომელიც განხილულ იქნა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში, ხოლო მიმდინარე წლის 3 ივლისს საკრებულოს სხდომაზე. აღნიშნული აუდიტის ანაგარიშში მითითებული ნაკლოვანებების შესაბამისად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული იქნა განკარგულება, რომლითაც მუნიციპალიტეტის მერიას მიეცა დავალება, საკრებულოსთან კოორდინაციით, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები ანგარიშში მითითებული რეკომენდაციების შესასრულებლად და უზრუნველყოს აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფრხვრა.

ჩვენ საქმიანობაში, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის აღმსრულებელ ორგანოებთან ურთიერთობის საკითხი, ახალმა თვითმართველობის კოდექსმა მნიშვნელოვნად გამიჯნა თვითმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელ ორგანოთა უფლებამოსილებები, რომლებიც ასრულებენ კანონით მათზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, მიუხედავად ფუნქციათა გადანაწილებისა, თვითმართველობა არის

ერთიანი ორგანიზმი. საკრებულო, როგორც თვითმართველობის პოლიტიკის განსაზღვრელი და მაკონტროლებელი ორგანო, პერიოდულად ახორციელებს მერიის სამსახურების ანგარიშების მოსმენას, მათ განხილვასა და შეფასებას.

ბიუჯეტი

როგორც მოგეხსენებათ, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით, საკრებულო, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ყოველ წელს ამტკიცებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტი გასული წლის 16 დეკემბერს დავამტკიცეთ, რომლის საკუთარი შემოსულობები საწყის ეტაპზე განისაზღვრა 10. 318. 100 ლარით, შემდეგ საკუთარი შემოსავლების გეგმები გაიზარდა და აღნიშნული შემოსულობები განისაზღვრა 11 032 100 ლარით, ხოლო არასაკუთარი შემოსულობები 11. 299. 185 ლარით. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა მოცემულ ეტაპზე შეადგენს 23. 554. 2 ლარს. ფაქტიურად, 2022 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა მიიღო 23, 584,2 ათასი ლარის შემოსულობები. შემოსულობების გეგმა შესრულებულია 101,1%-ით.

აღნიშნული ბიუჯეტით, პრიორიტეტულ მიმართულებებად განისაზღვრა ინფრასტრუქტურული, სოციალური, განათლებისა და კულტურის სფეროები. საკრებულოს მიერ მხარდაჭერილი და მოწონებული იქნა ყველა პრიორიტეტულ სფეროებში განსახორციელებელი მთელი რიგი პროექტები და აქტივობები, რომელთა უდიდესი ნაწილი წარმატებით განხორციელდა. რაც შეეხება 2023 წლის ბიუჯეტის პროექტს, ზემოთ ხსენებული პრიორიტეტული მიმართულებები კვლავ უცვლელად დარჩა. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, გამოითქვა მთელი რიგი შენიშვნები და წინადადებები, რომლებიც კანონის დადგენილ ვადებში გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერს. კერძოდ, ბიუჯეტის ცალკეული პარამეტრების კორექტირების მიზნით, რომელიც გათვალისწინებული იქნა:

1. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურეობის არეალის გაზრდა;

2. ნაგვის ბუნკერების შეძენა;

3. ბენეფიციართა რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით, სათნოების სახლის კვების ხარჯის ერთჯერადი მომსახურების გაზრდა;

4. მრავალბინიანი ბინების რეაბილიტაცია;

5. უსინათლოთა მომსახურეობის სწავლების პროექტის გაგრძელება;

6. ახლადდაქოწინებულ წყვილებზე, რომლებსაც აქვთ რეპროდუქციულ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები და ვერ ახერხებენ კლინიკურ-ლაბორატორულ კვლევების ჩატარებას, მათი დაფინანსება;

7. წარჩინებულ სტუდენტთა გრანტის მოპოვება მათი წახალისება;

8. რელიგიის დაფინანსების მუხლში თანხის გაზრდა.

9. ა(ა)იპ ე. კიკნაძის სახ. სკოლამდელი დაწესებულების გაერთიანების დაფინანსების გაზრდა;

10. C ჰეპატიტის სკრინიგ პროგრამის დაფინანსება 3000 ლარი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, საკრებულო ხელს უწყობს და ყველანაირ პირობებს უქმნის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, იურიდიულ პირებსა და მოქალაქეებს მათი სურვილის შემთხვევაში ჩაერთონ საბიუჯეტო პროცესში, წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები, შენიშვნები და შეფასებები.

ბიუჯეტის პროექტის განხილვაში მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გასული წლის 19 ნოემბერს, ბორითის თემში, ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის დროს, მოქალაქეთა მხრიდან დაყენებულ იქნა წინადადება იმის შესახებ, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებული ყოფილიყო შესაბამისი თანხები ახლადდაქოწინებულ წყვილებზე, რომლებსაც აქვთ რეპროდუქციულ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები და ვერ ახერხებენ კლინიკურ-ლაბორატორულ კვლევების ჩატარებას. აღნიშნული მოთხოვნა გათვალისწინებულ იქნა საკრებულოს წევრების მიერ, რომელიც აისახა ზემოთ ხსენებულ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ შემუშავებულ საბიუჯეტო შენიშვნებში. მაგრამ ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ჩართულობისა და აქტიურობის დონე საბიუჯეტო პროცესებში, სამწუხაროდ, ძალიან მცირე და უმნიშვნელოა.

მუნიციპალიტეტის მერიისა და გერმანიის მთავრობის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა ,,სამოქალაქო ბიუჯეტირების“ 150,000 ლარიანი პროექტი, მოსახლეობის აქტიურობითა და ჩართულობით, შეირჩა სხვადასხვა სოფლებიდან 5 პროექტი:

1.სოფელი საღანძილე - წყაროსა და სკვერის მოწყობა;

2.დაბა ხარაგაული - ფრენბურთის მოედნის მოწყობა;

3.სოფელი ვარძია - მემორიალური სივრცის მოწყობა;

4.სოფელი მოლითი -შეხვედრების დარბაზების მოწყობა;

5.სოფელი მაქათუბანი - ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაცია.

აღნიშნულზე მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები.

ჯანდაცვა

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა დახმარების მიზნით, მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით. აღნიშნული პრიორიტეტის მიმართულებით გამოყოფილია 1 932,1 ათასი ლარი. საკრებულოს მიერ მხარდაჭერილი იქნა მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამები, რომელთა განხორციელების მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა, ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ხელშეწყობა, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ნაწილობრივ შემსუბუქება. სოციალურ საკითხებზე საანგარიშო პერიოდში განხილული და დაკმაყოფილებული იქნა 2536 განცხადება. მათ შორის, ერთჯერადი ფინანსური დახმარებით ისარგებლა 1463 მოქალაქემ. 100 ახალშობილის ოჯახმა მიიღო ფინანსური დახმარება. სტიქიური მოვლენებისა და ხანძრის შედეგად დაზარალებულ 127 ოჯახს გაეწია ფინანსური და ჰუმანიტარული დახმარება. აღნიშნულ საკითხში მუნუციპალიტეტის მოსახლეობა და საკრებულოს თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული.

სოციალური მიმართულებით ქვეპროგრამებში 2023 წელს გათვალისწინებული იქნა ახალი მომსახურებების დაფინანსება:

- იშვიათი დაავადების მქონე 1 წლამდე ასაკის ბავშვების სპეციფიკური საკვებით უზრუნველყოფა 3000 ლარამდე;
- აუტისტური სპექტრის დიაგნოსტიკა და თერაპიის დაფინანსება 2000 ლარამდე;

- არასრულწლოვანთა დახმარების ქვეპროგრამა, რომელიც გულისხმობს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობას და ოჯახის გაძლიერებაზე ზრუნვას;
- მარჩენალდაკარგული და რეინტეგრირებული პირების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით 21 წლის ასაკამდე. აქამდე დახმარება გაიწეოდა წელიწადში ერთხელ 100 ლარის ოდენობით;
- ინვიტრო განაყოფიერების დაფინანსებას უშვილო წყვილისთვის 4000 ლარამდე;
- დაუნის სინდრომის და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე პირების დახმარება 200 ლარით, რაც აქამდე განისაზღვრებოდა 100 ლარით;
- ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეთა დახმარება 200 ლარის ოდენობით (აქამდე არსებული 100 ლარის ნაცვლად).
- მეორე წელია, რაც მოქმედებს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარების ქვეპროგრამა.

2022 წლის ბოლოს, წინასაახლწლოდ, ფინანსური დახმარება გაიცა უკიდურესად გაჭირვებულ 500 ოჯახზე, 2023 წელს ძველით საახალწლოდ _ 472 ოჯახზე, მათ შორის, 74 უსინათლო პირზე.

სტიქიური უბედურების შედეგად, დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარების ქვეპროგრამით თითქმის ამოწურულია პირველი კატეგორიის მქონე დაზარალებულთა განცხადებები, მეორე კატეგორიის დაზიანების მქონე 126 მოქალაქის განცხადება იქნა დაკმაყოფილებული საანგარიშო პერიოდში. დღეის მდგომარეობით ბინის ქირით მოსარგებლეა 8 ოჯახი. აუცილებლად მიმაჩნია, რომ მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარების მიზნით, გაიზარდოს სარეზერვო ფონდი.

მიმდინარე წლის მარტში დასრულდა კოვიდ19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, გეგმიურად გრძელდება როგორც რუტინული აცრები, ასევე სეზონული გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. მიმდინარე წელს სეზონული გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაიტარა 1900 პირმა. სიახლეა, რომ 2022 წლიდან დაიწყო გოგონებისთვის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, ხოლო 2023 წლიდან მამაკაცებსაც აქვთ შესაძლებლობა, ჩაიტარონ აღნიშნული აცრა.

გრძელდება შიდსისა და C ჰეპატიტის ინტეგრირებული სახელმწიფო სკრინინგ-პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ტესტირება ჩაუტარდა 1500 პირს. დადებითი შედეგი არ დაფიქსირებულა.

გასულ წელს უფასო სასადილოს ინფრასტრუქტურა მოეწყო თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, შეძენილი იქნა ინვენტარი. ბენეფიციართა რიცხვი 142-დან 160-მდე გაიზარდა.

როგორც მოგეხსენებათ, გასული წლიდან გაფართოვდა მომსახურების არეალი, სასადილო კვირაში ორი დღე მზა საკვების ადგილზე მიტანით ემსახურება ახლომდებარე ადმ. ერთეულებში (საღანძილე, ბაზალეთი, ფარცხნალი, ლაშე) ბენეფიციარებს. ასევე, მიმართვების საფუძველზე საკვები პროდუქტით დახმარება გაიწევა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე. ამ მიმართულებით დახმარება გაიცა 65 ოჯახზე.

ბავშვთა უფლებები

პარლამენტის მიერ, მიღებულმა ბავშვთა უფლებების დაცვის კოდექსმა, განსაზღვრა მუნიციპალიტეტში სამსახურების შექმნის აუცილებლობა, დღეს საქართველოს 52 - მუნიციპალიტეტშია შექმნილი ბავშვთა სამსახურები. 38 მუნიციპალიტეტში ფუქნციონირებს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი.

2023 წელს ნოემბრის ჩათვლით ბავშვთა განყოფილებაში განხილულია 24 საკითხი. აქედან 2 დახურულია, 2 რეფერირებული სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის სააგენტოში. ბავშვთა სოც მუშაკის მიერ, განხორციელებულია ყველა ოჯახში ვიზიტი, შეფასებულია ოჯახები. ჯამში მოკვლეულია 60 ბავშვი. სოც მუშაკის მიერ, თითოეულ საქმეზე შექმნილია ინდივიდუალური საქმე.

გარკვეული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ წლამდე ასაკის ბავში იყო ჯანმრთელობის დარღვევის სხვადასხვა პრობლემებით. მათ შორის მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარება არ შეესაბამებოდა ასაკს. ოჯახში იკვეთებოდა, როგორც მშობლების ასევე ბებია-ბაბუის უუნარობა. ამიტომ ბავშვთა უფლებების დაცვის სამსახური, პერიოდულად ახორციელებდა მონიტორინგს.

ინდივიდუალური გეგმის საფუძველზე, მოხდა ოჯახის ჩართვა მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა სოციალურ პროგრამებში. ასევე მოძიებულ იქნა შესაბამისი კლინიკები ბავშვების საჭიროების მიხედვით. სამსახურის ჩართულობის პროცესში გათხოვდა დედა სხვა მუნიციპალიტეტში და თან წაიყვანა სამი შვილი და ერთი შვილიშვილი, მათ შორის ორი შშმ პირია და ორი არასრულწლოვანი. დებულების საფუძველზე, მოხდა რეფერირება ტრეფიკინგის სააგენტოში და საქმე სამართვად გადაეცა შესაბამის მუნიციპალიტეტს.

მიმდინარე წელს პირველად განხორციელდა ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების მიერ ინიცირებული ახალი - არასრულწლოვანთა მხარდაჭერის ქვეპროგრამა, რომელმაც საშუალება მისცა სოც მუშაკის დასკვნის საფუძველზე, ოჯახები, სადაც არასრულწლოვნები ცხოვრობდნენ მიეღოთ დაფინანსება. ამ პროგრამით ისარგებლა 17-ოჯახმა, ჯამში 27,180 ლარი მიიღეს.

სამსახურმა დაასრულა არასრულწლოვან შშმ პირთა ბაზის შექმნა (სტატუსიანი, უსტატუსო) რაც ხელს უწყობს, აღნიშნული მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები ჩაესვათ სხვადასხვა როგორც მუნიციპალურ, ასევე სახელმწიფო პროგრამებში.

სამსახური თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციასთან „ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის“, რომელიც სადიაგნოსტიკო კვლევებს ატარებს. რის შემდეგადაც დღის წესრიგში დადგება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო პროგრამის ამოქმედება.

მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში, ბავშვთა უფლებების დაცვის სამსახურის თანამშრომლობითა და საკრებულოს წევრების ინიციატივით, ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, საზაფახულო კარვების ბანაკის სამი ნაკადის არასრუწლოვნებთან.

თემაზე: ბულინგი, ძალადობის სახეები, აზარტული თამაშები და სხვა.

საქართველოს წითელი ჯვრის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ცენტრმა ფუნქციონირება დაიწყო მიმდინარე 2023 წლის პირველი აპრილიდან.

ბიუჯეტი გაწერილი იყო ადგილობრივი ხარჯიდან 15 ათას ლარზე, ხოლო მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 31 513-50 ლარს. ამ პერიოდში არაერთი სიკეთე გააკეთა წითელმა ჯვარმა, მუნიციპალიტეტის მოწყვლადი ჯგუფებისა და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის.

მიმდინარე წლის მაისის თვეში, მუნიციპალიტეტს წითელი ჯვრისგან გადაეცა 150 ბავშვისთვის სასაჩუქრე ყუთი, ასევე გადანაწილდა ,,ვაიკიკისა“ და ,,აუთლუქის“ 24 ყუთი ტანსაცმელი მრავალშვილიან ოჯახებზე.

მიმდინარე წელს წითელი ჯვრის ადგილობრივი ცენტრის მიერ განხორციელდა მუნიუციპალიტეტის საჯარო სკოლებში ტრენინგები და საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები თემებზე: პირველადი მოხმარების, იმუნიზაციისა და პირადი უნარების ხელშეწყობის მიმართულებით. ტრენინგები გაიარა 100-მდე ბენეფიციარმა.

ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება, პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან და ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომელიც ხელს უწყობს, როგორც ინვესტიციების მოზიდვას, ასევე ტურიზმის განვითარებას.

ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთრი სახსრები უმეტესწილად ხმარდება გზების მიმდინარე შეკეთებას, საპროექტო და მონიტორინგის ხარჯების ანაზღაურებას. მხედეველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარი გაუთვალისწინებელი ღონისძიებები.

სამუშაოების მოცულობა დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერზე. პროექტების შერჩევა გამხორციელდება, გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.

2022 წლის მოწონებული საპროექტო 35 წინადადებებიდან, რომელიც დაფინანსდა 6 მილიონ 50 ათასი ლარით, დღეის მდგომარეობით დასრულებულია და მოსახლეობაც კმაყოფილებას გამოხატავს.

2023 წლის 35 დაფინანსებული პროექტებიდნ, 32 დასრულებულია, 3 პროექტზე მიმდინარეობს სამუშაოები, 1 პროეტზე გამოცხადებულია ტენდერი. სულ ჯამურად 4 მილიონ 733 ათასი ლარით.

მაღალმთიანი სოფლის გზის პროექტებისათვის გამოყოფილი იყო, 2022 წელს 719,432 ათასი ლარი (სოფ. ჩრდილი ტალახაძეების უბანი და გოგნაძეების უბანი) ხოლო 2023 წლისთვის ორი პროექტის შესასრულებლად სოფელი წიფა და სოფელი გედსამანია 510, 051 ლარი.

ადგილობრივი დაფინანსებები მოხმარდა 2022 წელს ხიდებისა და წლის სისტემების მოწყობას და სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ჯამურად 154, 763 ლარი. სტიქიაზე ამავე წელს დაიხრჯა 1.000 000 ლარი. (კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელი გზა) და სამი სახიდე გადასასვლელის მოწყობას.

საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამის ფონდიდან, 2, 619, 727 ლარი, დაიხარჯა მუნიციპალიტეტის 4 პროექტზე, რომელიც დასრულებულია. რაც შეეხება 2022 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებას, გამოყოფილი 890, 000 ლარის სამუშაოების მოცულობის გაზრდის მიზნით, მოხდა ადგილობრივი ბიჯეტიდან 329, 531 ლარით თანადაფინანსება. პროექტების შერჩევის მიზნით, სოფლის კრებების საფუძველზე 2023 წელს 890, 000 ლარი გაიზარდა თანადაფინანსებით და 166 საპროექტო წინადადებებს დაემატა ბიუჯეტიდან 200, 000-ათასი ლარი. დღეის მდგომარეობით სოფლის ყველა პროეტი დასრულებულია.

ასევე დასრულებულია და ათვისებულია 2022 წელს სამივე სკოლის სამუშაოები.

სულ ჯამში ყველა ფონდიდან გამოყოფილი 11, 421 759 ლარიდან, აღებული ვალდებულებები 99,6%-ით შესრულებულია.

2023 წლის პირველ კვარტალში, ინრასტრუქტურაზე ბიუჯეტის შერულების მაჩვენებლი, ვერ შესრულდა გეგმის მიხედვით. შესრულების დაბალი პროცენტი გამოიწვია, შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებლობამ. მერია თანხას ანაზღაურებს დაქირავებული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, რომელიც ადასტურებს შესრულებული სამუშაოების პროექტთან შესაბამისობას, რომლის წარმოდგენის გარეშე მერია თანხის ანაზღაურებას ვერ მოახდენს.

ამ ეტაპისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის მაჩვენებლი ფაქტიურად შესრულებულია გადამეტებით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 76, 000 ლარი ხმარდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაქირავებას.

ხარაგაული-ნადაბური; ხარაგაული-სხლითი; ხარაგაული-ვახანი; ხარაგაული-ზვარე; რკინიგზის სადგური-კიცხი და უბისა-ხევის რეისის მიმართულება. მომავალ წელს მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად დაემატება, ახალი რეისები. საზოგადოებრივი ტრანსპორტი მგზავრებს შეუფერხებლად ემსახურება.

მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური, რომელსაც ევალება სივრცით ტერიტორიულ მოწყობის, დასახლებების დაგეგმარების და მშენებლობის საკითხების კორდინაცია, ასევე სამსახური შესაბამის ზედამხედველობას უწევს, არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობას, გარე რეკლემისა და გარე ვაჭრობის დარღვევის ფაქტების გამოვლენას. რის შედეგადაც, დარღვევის ფაქტზე, ბიუჯეტში შესულია 1570 ლარი.

ეკონომიკა

ასევე მინდა მოგახსენოთ, მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ, ამ ფუნქციას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერია, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ თვითმართველობა არის ერთიანი ორგანიზმი და საკრებულოსთან კოორდინაციითა და გარკვეულ შემთხვევებში თანხმობით ხორციელდება მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის საკითხები. მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, გამოვლენილი იქნა მთელი რიგი უძრავი ქონებები, რომლებიც მუნიციპალიტეტის მიერ იყო შექმნილი და მოწყობილი და არ იყო დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში. მოცემულ ეტაპზე ყველა ზემოთ ხსენებული ქონება რეგისტრირებულია, რაც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს საკუთრების უფლების სრულად განხორციელებაში აღნიშნული ობიექტების მიმართ. ასევე, საკმაოდ მოცულობითი სამუშაოები განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული იმ სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებისათვის, რომელიც არ წარმოადგენდა არც ფიზიკური და არც იურიდიული პირების საკუთრებას. ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მუნიციპალიტეტს მის კომპეტენციას მიკუთვნებული ფუნქციების განსახორციელებლად, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფოსგან გადმოეცა არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და სხვა უძრავი ქონებები, რომლებიც რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში მუნიციპალიტეტის სახელზე. ასევე მინდა მოგახსენოთ უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის შედეგად განხორციელებულ ცალკეულ ეკონომიკურ აქტივობებზე. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში სულ გაფორმდა 16 საიჯარო ხელშეკრულება, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსულია 39 793 ლარი.

მიმდინარე წელს სოფელ თეთრაწყაროში 7362 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი 20 წლის ვადით საქმიანი ეზოს მოწყობის მიზნით, სარგებლობაში გადაეცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურდიულ პირს, ეროვნულ სატყეო სააგენტოს.

მოსახლეობისათვის სამედიცინო სერვისების უკეთ მიწოდების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარკვეული სასოფლო ამბულატორიები გადაეცა სამედიცინო ჰოლდინგს. აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტების განსახორციელებლად, მუნიციპალიტეტის კუთვნილი უძრავი ქონებები გადაეცათ ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა იურიდიულ პირებს. მნიშვნელოვანი მატებაა დასუფთავების მოსაკრებლებიდან შემოსულ თანხებთან დაკავშირებით, კერძოდ, საანგარიშო პერიოდში დასუფთავების მოსაკრებლებიდან შემოსულ 157 791 ლარი, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება გასული წლის მაჩვენებლებს. მიმდინარე წელს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოხდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა. (ა) იპ შ.პ.ს „ხარაგაულის -2011“ ის ლიკვიდაცია. აღსანიშნავია რომ აღნიშნული ორგანიზაცია, წლების განმავლობაში იყო უფუნქციოდ და აღარ გააჩნდა შესაბამისი რესურსი თავისი ფუნქციების განსახორციელებლად. აღნიშნულ საკითხზე მინდა კრიტიკული ვიყო ვინაიდან მიმაჩნია, რომ ადრეც შეგვეძლო უფუნქციო ორგანიზაციის გაუქმება და მის საკუთრებაში არსებული ქონების მიზნობრივი განაწილება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სხვა ა. (ა)ი პ-ებზე. ასევე დღემდე პრობლემად რჩება სოფლებში აშენებული სარიტუალო დარბაზების მდგომარეობა, რომლის მართვა და მოვლა პატრონობა არ აქვს არავის ჩაბარებული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმაჩნია, რომ უნდა შეირჩეს გარკვეული სამართლებრივი ფორმა, დარბაზების სარგებლობის უფლების გადაცემასთან დაკავშირებით, შეღავათიანი საიჯარო ქირის განსაზღვრით. რათა არ მოხდეს შენობებისა და იქ არსებული მატერიალური ფასეულობების დაზიანება და გაფლანგვა.

კულტურა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა კულტურის ტრადიციების დაცვა და მისი ღირსეული გაგრძელება, ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სპორტსმენების ხელშეწყობა და შესაბამისი პირობების შექმნა, სამუსიკო განათლების ხელშეწყობა, განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება, მივიწყებული ფოლკლორული სიმღერებისა და ცეკვების აღდგენა, ლიტერატურული თეატრალური წარმოდგენების გამართვა, სახვითი ხელოვნების განვითარება, ადგილობრივი მუზეუმის საქმიანობის ხელშეწყობა, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა სახის პროექტებსა და ღონისძიებებს, მასში არსებული ექსპონატები ათი ათას ერთეულზე მეტია. აღსანიშნავია მუნიციპალიტეტის სახალხო თეატრი, რომელიც 120 წლისაა და პოპულარულია როგორც ქვეყნის შიგნით, ასეევე მის ფარგლებს გარეთ, თოჯინების თეატრი, რომელიც ასევე პოპულარულია არა მხოლოდ ბავშვებში. რეზო თაბუკაშვილის ლიტერატურული თეატრი, რომელიც მუნიციპალიტეტის სავიზიტო ბარათია.

ასევე აღსანიშნავია საბიბლიოთეკო განყოფილების ეფექტური მუშაობა, რომლის დიდი ნაწილი 25-და 22 სხვასხვა სოფლშია განთავსებული, სადაც ეწყობა შემოქმედებითი საღამოები, წიგნის ფესტივალები. მას განახლება, მეტი ყურადღება

და ხელშეწყობა სჭირდება. მუნიციპალიტეტი აქტიურადაა ჩართული კულტურული ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერისთვის.

ბაღები

მომავალი თაობის აღზრდის და ზოგად განათლებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. რაც თვითმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთნება, რომლის ფარგლებშიც, გასულ და მომდევნო წლებშიც საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისთვის განხორციელდება ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმ ზრდელ-პედაგოგების გადამზადება. ზოგადი განათლების ხელშეწყობისა და აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის დონის ამაღლების მიზნით, გასულ წელს 24 თანამშრომელი გადამზადდა.

დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი და 1 მზაობის ჯგუფი. 2022 წლის სექტემბრის თვეში სამ ძირითად კვებას დაემატა, ერთი წახემსებაც.

გასული წლის (2022) 23 მაისიდან 27 ივნისამდე ჩატარდა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის მიერ აუდიტორული შემოწმება, შერჩევის პრინციპით. შეირჩა 7 საბავშვო ბაღი: ხარაგაულის N1, N2, ბორითი, ღორეშა, ნადაბური, გედსამანია და საგვეში. ზემოთ აღნიშნულ ბაღებში შემოწმდა საკვები პროდუქტების ფაქტიური ნაშთები, თითეული ბაღის საწყობი, აგრეთვე შენობები და მათი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. ფაქტობრივად არსებული ნაშთის ოდენობა ზოგიერთ პროდუქტებზე არ ემთხვეოდა ბუღალტერიაში არსებულ შესაბამის მონაცემებს, მიღება-ჩაბარების აქტებში იყო

გადასწორების შემთხვევები და შესყიდვების სააგენტოში არ იყო ატვირთული მინდობილობები. ბაღების გაერთიანებაში სარემონტო სამუშაოები შესრულებული იყო, ბაღში დასაქმებული თანამშრომლების მიერ არა სამუშაო საათებში, დირექტორის ბრძანების საფუძველზე. შესრულებული სამუშაო კი ანაზღაურებული იყო ხელფასის ფონდიდან დანამატის სახით, დეფექტური და შესრულებული სამუშას აქტების საფუძველზე, აღნიშნული ქმდება დაუშვებელია.

აღნიშნული შეუსაბამობების და რისკების აღმოსაფხვრელად, შიდა აუდიტის მიერ, გაცემული იქნა 9 რეკომენდაცია. დღეის მდგომარეობით, გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია. საბავშვო ბაღებში მიმდინარეობს თვითშეფასების ეტაპი შემდგომი ავტორიზაციისთვის.

პირადი და საკრებულოს წევრთა ინიციატივები

უკვე მეექვსე წელია საკრებულოსთან ფუნქციონირებს ახალგაზრდული საკრებულო, რომელიც მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების აქტიური მოსწავლეებითაა დაკომპლექტებული. ახალგაზრდები ეცნობიან როგორც საკრებულოს მუშაობის ორგნიზაციულ ფორმებს, ასევე პირადი ინიციარტივითა და საკრებულოს წევრთა მხარდაჭერით ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს, კერძოდ: შექმნეს ვებგვერდი, ჩაატარეს ქუჩის გამოკითხვა ,,იცოდე კანონი, იყავი დაცული“, თავიანთ სკოლებში ჩაატარეს პრეზენტაცია ,,ნუ ჩაგრავ, იყავი მეგობარი“, გადაიღეს ვიდეო რგოლები ,,ღიაობა-მიმღებლობა“. მათი აქტივობების ჩამოთვლა ვრცელია და საინტერესო. სულ ამ პერიოდისთვის 31 აქტივობა განახორციელეს სხვადასხვა მიმართულებით.

მინდა ასევე წარმოგიდგინოთ მცირე ჩამონათვალი იმ ღონისძიებებისა, რომლებსაც კანონმდებლობა არ გვავალდებულებს, მაგრამ განვახორციელეთ საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. კერძოდ:

- დედის დღესთან დაკავშირებით, 147 - ქალბატონს გადავეცით ფასიანი საჩუქრები;

- 8 მარტის აღსანიშნავად ,,ტკბილი ქვეყნის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჩვენმა მეგობარმა ბატონმა კახა ყრუაშვილმა გადმოგვცა 2,140 ლარის ტკბილეული, რომელიც მრავალშვილიანებს და სოფლად მცხოვრებ შეჭირვებულ ქალბატონებს დავურიგეთ;
- ასევე სარვამარტოდ დავასაჩუქრეთ პოლიციაში დასაქმებული ქალბატონები;

- ახალგაზრდებს, ახლადრეაბილიტირებულ პარკში გადავეცით საჩუქრად ჩოგბურთის მაგიდა;

- დავაჯილდოეთ სალოტბარო სკოლა, წინაპართა შექმნილი და შემონახული საგანძურის შენახვისა და მომავალი თაობის აღზრდის უდიდესი ღვაწლისთვის.
- ჩვენი აქტიურობითა და სააავტომობილო გზების დეპარტამენტის დახმარებით, საქასრიაში მცხოვრებ ნაზი ჩანქსელიანს მომატებული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, აუშენეს დამცავი კედელი და გაასწორხაზოვნეს მისასვლელი გზა, რაზედაც 85,000 ლარი დაიხარჯა.

- ასევე ჩვენი ინიცატივით, საგზაო დეპარტამენტმა, სოფელ ბორითში, გოჭოურის უბანში გააკეთა მისასვლელი გზა და გზის მშენებლობის პროცესში დაზიანებული კანალიზაციის გარკვეული ნაწილი.

- სოფელ უბისაში, სასაუზმე ,,ბაჭატიას“ მიმდებარე ფერდობის გასამაგრებლად, გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევის და გადაწყვეტილების მიზნით, დაიწყეს ადმინისტრაციული წარმოება.

- ჩვენი ინიციატივით და ჩინური კომპანია F3-ის დახმარებით სოფელ ბორითში ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას სკვერთან, ავტობანის მშენებლობის ფარგლებში, აშენებული ხიდის საყრდენ ბურჯზე ხილვადობის ამაღლების მიზნით, მოიხატა სახელმწიფო დროშა ფოსფორის მანათობელი საღებავით და ამინდის გაუმჯობესების პირობებში მეორე ბურჯზე გაკეთდება საქართველოს სამფეროვანი ძველი ეროვნული დროშა.

- მიმდინარე წლის მარტი-აპრილის თვეში, ჩვენი ინიციატივით და მოსახლეობის თხოვნით, მოეწყო შეხვედრა სოფელ ბორითში საგზაო დეპარტამენტთან და ჩინური კომპანია F2-ის ხელმძღვანელებთან, სადაც მოსახლეობამ რიგი პრობლემები დააყენეს მათ წინაშე, როგორიცაა:

  1) ხევის საბავშვო ბაღის მშენებლობის გაჭიანურების საკითხი;
  2)ჩინური კომპანიების მიერ ნარჩენებთან დაკავშირებით ცენტრალურ მაგისტრალზე გარე ვაჭრობასთან დაკავშირებით;
  3) ბორითის საბვშვო ბაღის ეზოს 25-მეტრიდან 11 მეტრამდე ჩამოჭრასთან დაკავშირებით; 4) ახალი ბაღის მშენებლობასთან დაკავშირებით;
  5)სოფელ ვერტყვიჭალაში მდინარე ძირულაზე არსებული სამანქანო ხიდის დაზიანებასთან დაკავშირებით და სხვა. შეხვედრას ესწრებოდა 45 ადგილობრივი მაცხოვრებელი. ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების დიდი ნაწილი მოგვარებულია.

- გასული წლის დეკემბერში, საკრებულოს წევრის, გოჩა გიორგიძის ინიციატივით, ტრენინგები ჩაუტარდა ახალგაზრდულ საკრებულოს წევრებს ,,ეფექტური კომუნიკაციის ხელოვნება“ ასევე მისი აქტიურობით გაიმართა საინფორმაციო-საგანმათლებლო შეხვედრები სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებულებთან.
- ჩვენი ინიციატივით და განათლების მინისტრის მხარდაჭერით, სკოლებში სამედიცინო პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგები შემდეგ საკითხებზე:

  1. იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა, ვაქცინაციით მართვადი დაავადებები;
  2. პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება;
  3. ცხოვრების ჯანსაღი წესი და არაგადამდები დაავადებების რისკ ფაქტორები და მათი პრევენცია;
  4. თამბაქოს და მარიხუანას მავნებლობა და რისკ ფაქტორები.

  ჩვენი იდეა და ინიციატივა ტრენინგების ჩატარების თაობაზე, მოწონებულ იქნა განათლების სამინისტროს მიერ და ტრენინგების ჩატარება დაევალათ იმერეთის რეგიონის მასშტაბით როგორც განათლებას, ასევე საზოგადოებრივი ჯანდაცვას.

- საკრებულოს წევრების შმაგი ხიჯაკაძისა და გოჩა გიორგიძის ინიციატივით მოწვეული იქნა წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელმძღვანელობა. მომზადდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის მიზნობრივი პროექტი ,,ბავშვთა და ძალადობის მსხვერპლ ქალთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, რომელიც დაფინსდება დონორი ორგანიზაციიდან.
- ჩვენი მხარდაჭერით და აქტიურობით ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებთა კონტროლის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა ,,ვარდისფერი ოქტომბერის“ ფარგლებში სკრინიგ აქცია ბორითის კატასტროფის ცენტრში, მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტმა ქალბატონმა.

- ბორითის კატასტროფის ცენტრში ჩვენი ორგანიზებით და კლინიკა ,,სისტოლის“ სამედიცინო პერსონალის ჩართულობით, ჩავატარეთ სხვადასხვა სახის სამედიცინო გამოკვლევა. სადაც 170-ზე მეტმა პაციენტმა ისარგებლა.

- ჩვენი დეპუტატების, გოჩა გიორგიძის და იამზე პაქსაშვილის აქტიურობით, ბორითის კატასტროფის ცენტრში გაიმართა ოფთალმოლოგიის უფასო სამედიცინო აქცია. კონსულტაციით ისარგებლა 50-ზე მეტმა ბენეფიციარმა.

- საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავჯდომარის ქალბატონი მარინე ხვედელიძის ინიციატივით და სოფელ ვარძიის რწმუნებულის ქალბატონი მზექალა გლუნჩაძის დახმარებით, მოკლე ვიდეო კოლაჟებით წარმოვაჩინეთ სოფლად მცხოვრები აქტიური, მრავალშვილიანი დედები, შორენა ნანიტაშვილი და ნათია ქოჩიაშვილი.

- ასევე მოეწყო შეხვედრა პედაგოგიური ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებთან, სალომე შარიქაძესთან და მარიამ ბუჯანაძესთან. შეხვედრა შედგა მაღალი კლასის მოსწავლეებთან, მასწავლებლის როლზე და პროფესიის პოპულარიზაციაზე.

- 27 სექტემბერს საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები ეწვივნენ აფხაზეთში გმირულად დაღუპული ჯარისკაცის დედას და პატივი მიაგეს ქართველ გმირს.

ასევე 27 ოქტომბერს მასწავლებლის ეროვნულ დღესთან დაკავშირებით, ახალგაზრდული საკრებულოს წევრებმა და საკრებულოს დეპუტატებმა, მოინახულეს ღვაწლმოსილი პედაგოგები და გადასცეს სასაჩუქრე პაკეტები.

მიუხედავად წარმოდგენილ ანგარიშში ასახული აქტივობებისა და განხორციელებული საქმიანობისა, მუნიციპალიტეტში კვლავ პრობლემად რჩება მთელი რიგი საკითხები, რომელიც საჭიროებს თვითმმართველობის თუ მთავრობის დონეზე გადაწყვეტას. ეს პრობლემებია:

- ბუნებრივი აირით მოსახლეობის უზრუნველყოფის დაბალი მაჩვენებელი;
- სოფლებში სასმელი წყლის პრობლემა;
- მიუსაფარი ძაღლების და ცხოველების პრობლემა;
- ახალგაზრდა პროფესიული კადრების ნაკლებობა;
- სოფლის მოსახლეობის მიგრაცია.

წარმოდგენილ ანგარიშში ვრცლად ვისაუბრე თვითმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ისეთ საკითხებზე, რომელსაც მუნიციპალიტეტის

აღმასრულებელი ორგანო ახორციელებს, მაგრამ აღნიშნულ საკითხები საკრებულოსთან კოორდინაციითა და ხშირ შემთხვევაში თანხმობით ხორციელდება. ვინაიდან საკრებულო არის თვითმმართველობის მთავარი ორგანო მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა კონტროლის განხორციელება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობასა და საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, რომელსაც საკრებულო თავისი კომისიების მეშვეობით ახორციელებს, თუმცა ეს არ გამორიცხავს საკრებულოს ან საკრებულოს წევრის მიერ უშუალო კონტროლის განხორციელებასაც.

ამდენად, თვითმართველობა გულისხმობს თვითმმართველობის წარმოადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოთა ერთიან ორგანიზმად არსებობას და მათ შორის ფუნქციათა გადანაწილება განაპირობებს თვითმართველობის ორ ძირითად - წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ინსტიტუციათა არსებობას.

მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს ყველა წევრს და აპარატის თანამშრომლებს გაწული მუშაობისთვის.